

მარტი

8



ნახ. გ. ლომუასი

კაცი ჯაბანი რითა სჯობს
დიაცსა ქსლისა მბეჭველსა

№ 5

თბილისი მარტი

1959

გენგ

ბაჟსიხის XXXVII წელი ფასი 2 მან.



პირველი, რომელსაც მითოლოგია ხელს ადებს ყურძნის თავბრუდამხვევი თვისებების აღმოჩენაში, ნოე გახლდათ. მას წარღვნის დროს წყურვილის მოსაკლავად ყურძნის მტევანი დაუწურავს და წვენი დაუღვია. ასე შემთხვევით გაესინჯა ღვინოს პირველად ჭაშნიკი. ადამიანთა მოდგამამ სიამოვნებით შეითვისა ეს აღმოჩენა, თანდათან განავითარა და დღეს ამ უნაზეს ნაყოფს ჭყლეტენ. ფეხით ადგებიან, რა ვიცი რას არ უშვრებიან, რომ მისგან ღვინის მაქსიმუმი გამოსწურონ. ღვინის სპა სპორტულ შეჯიბრებად იქცა. გამოიყო თავისებური მსაჯები—თამაღები, რომელთა ფუნქციაში შედის გამოავლინონ «რეკორდმსმელების» არმია. ჭამის საკითხი მეორე პლანზე მოექცა. ეს ჩანს ლექსებიდანაც: «სმა-ჭამა დიდად შესარკი...», «მასვი მაჭამე, მალხინე» და სხვ.

ამ გატაცების მსხვერპლი აღმოჩნდა წუხელ. თამაღამ სათითაოდ გაგვართხილა: «სმას სასტიკი ხასიათი ექნებინო». «ექნეს, თუ ექნებინო!»—უშასაუხეთ ერთხმად. ატყდა საალავერდო სროლა... პირველი ჭიქა სიამოვნებით შევსვი—ასე დაგეცალოთ მტერი—მეთქი, და ჭიქას ფსკერიც კი დაფუკოცნე. იგი ლამაზაქმა შეცვალა, ლამაზი—ბროლის ვაზამ, ვა-

ზა — სამურაბემ, სამურაბე — ყანწმა. ყანწი—ჭინჭილამ. ჩვენ არავინ გვცვლიდა. მერე აღარ მახსოვს რას ვაკოცე, ვის ვაკოცე. კიდე კარგი, თუ ვაკოცე და არ შევაგინე. მაგრამ ზოგისთვის ეს სულ ერთია. მოზრუნდა ვიღაცა და რაღაც გულში ჩამწვდომი მითხრა. კიდე კარგი, რომ მითხრა და ხელუხლებელი საცივი თავზე არ გადამასხა. როგორ ეს მეთქი—ვიღრიალე და გავიწიე. ამ დროს მე ვიყავი დაჭრილი ხარი. ჩემს გარშემო ხტოდნენ მატადორები, მე სისხლი მწყუროდა (ღვინო აღარ მინდოდა). უცებ ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა, ისე როგორც ოპერატორი დაატრიალებს კადრს გმირის დაღუპვის წინ. შემდეგ ყველაფერი ნისლში ჩაიძირა. აღარ მახსოვს, რა მოხდა ან რა მომხვდა. თვალი რომ გავახილე, ცოლი მაჯას მისინჯავდა და სიღედრი მეორე ოთახში თმებს იგლეჯდა—ეს რა შემომივიდა ოჯახშიო.

შეიძლება სხვანაირი შედეგიც ვთქვათ პირველი ინსტანცია უმტკივნეულოდ გამეფლო. გაფრთხილებული თამადა, ცხადია, შუალამისას ოჯახის ჭერს დალოცავდა და მასპინძლის მოყვარე სტუმრებს კარებისაკენ მიგვითითებდა. მე დავრჩებოდი სამყაროს პირისპირ. ვიე-

ლიდი შუა გზაზე და ვირწმუნებდი, რომ დედამიწა ბრუნავს. არ მომეწონებოდა საგანთა განლაგება: ავაყირავებდი ურნებს და დედის სულს ამოვუტრიალებდი შემხვედრს. მაგრამ დედამიწა ბრუნავს სხვისთვისაც. ამის გამო მოგვივიდოდა კამათი. ათი მეტრი სიგანის ქუჩაზე გვერდს ვერ ავუტყვევდით ერთმანეთს და მოხდებოდა შეჯახება. ამის შედეგად გზა დაიკეტებოდა სახლისკენ. მე ან სასწრაფო დახმარების მანქანაში ამოვყოფდი გატეხილ თავს, ანდა, დილით მილიციაში ხელს მოვაწერდი ჩემი ბრადების ოქმს.

გეკითხებით: რატომ ვიკლავ თავს რატომ ვიხრჩობი ღვინოში? დახრჩობის შესანიშნავი საშუალებაა წყალი. ღვინოა, რომ მეგობრის ბებიის ქელებზე მრავალჯამიერს გვათქმევინებს. ღვინოა, რომ ღამით კაცია მუნჯადესავით ტრამვანის რელსზე თავს დაგვადებინებს. ღვინოში ისეთი რამ წამოგცდება ქალებთან, სიფხიზლეში ყურებამდე გაწითლდები. ღვინო აფუჭებს მაგიდის საფარს და თიშავს ცოლ-ქმარს, ღვინო გვირეცს გულს, გვახვევს თავბრუს, გვიშრობს ენას, გვართმევს ტვინს, გვიმღვრევს თვალებს და გვიწითლებს ცხვირს—მეტი რა ქნას ღვინომ.

ჰარი ჰარალიშვილი

ნახ. ზ. ნიუარაძისა



— პატივცემულო აღმასხან, ავტობიოგრაფიაში გიწერიათ სამი ორდენით ვარ დაჯილდოვებულიო. როდის დაგაჯილდოვეს?
— ორდენები?!. უბ, ბოდიში, ჩვენი ზეინკლის ავტობიოგრაფიიდან ვიწერდი და შექანიკურად გადამიწერია.

ნაკვესები

ავტორს ტირაჟი დაუწყველეს—შეარგასაზრდელიო. ბოთლმა თქვა—ჭირვეული იწვედა „სუფრის თავში მოვხედო“ და მე მოვხვდი თავშიო. გამყიდველმა თქვა—ფეხზე ვაჭრობა ამიკრძალებს და ახლა ვზივარო. კამათელმა თქვა—ზოგიერთი კრიტიკოსივით, მინდა—მოვეკლავ, მინდა—გავაცოცხლებო. მოჩხუბარი ჩხუბის დროს ნატრობდა—„ნეტავ დამიპირონო“ და ჩხუბის შემდეგ—„ნეტავ არ დამიპირონო“. მეღვინე იმდენს ურევდა, რომ დამღევი ვეღარ ურევდაო. მწერალმა ნაწარმოები გამოცა სათაურიო—„ცხოვრების გასაღები“, მაგრამ გასაღების საქმე ვერც ამით შოავგარაო.

შეადგინა ვახტანგ ჯავახიშვილმა

მინიატურული მოთხრობები

ყველაფერს თავისი დრო აქვს

— პატივცემულო დირექტორო, ერთი საათით გამანთავისუფლეთ, მოხუცი ნათესავი ჩამოდის, შუალამის მატარებელს უნდა დავხვდე. მიმართა დირექტორს ერთმა თანამშრომელმა.
დირექტორს თავისებურად ესმოდა დისციპლინა, ამიტომ ხაზგასმული სიმტიცივით უპასუხა მთხოვნელს:
— ყველაფერს თავისი დრო აქვს... სამუშაო საათებში ვერსად გაგიშვებ... მატარებელს საღამოს დახვდი.

სამზარეულო რეცეპტურა

ერთ ჟურნალში მოთავსებული იყო სტატია დიასახლისებისათვის—«როგორ შეიძლება კარტოფილისაგან გემრიელი კერძის დამზადება.» სადაც ავტორი ასეთ რჩევას იძლეოდა: «თუ სახლში კარტოფილი გაქვთ, მისგან ყოველთვის შეგიძლიათ გემრიელი კერძი დაამზადოთ... აიღეთ კარტოფილი, კარგად გაწმინდეთ, შეწვით და შემოუწყეთ გარშემო შემწვარ... სუქს.»

ა. ბასილაია

ჩვენი სართული

კინოსცენარი ორ სერიად

სერია პირველი

ცაზე მიცურავს ნამგალა მთვარე. ძირს მიიკლანება დიდი ხნის მოწმე მტკვარი. რომელიც ვინ იცის, ვისთვის რას ბუტ-ბუტებს. ქალაქი გაჩირადნებულა ილიჩის ნათურებით.

დიქტორი: — ვის არ ჩამოუხედავს ფუნუკლორიდან ღამით! ვენაცვალე თბილისს, დედოფალს გავს... აი რუსთაველზე ოთხი ქალიშვილი მოსეირნობს. ახლახან დაამთავრეს ინსტიტუტები, უყვართ თბილისი და გადაწყვეტილი აქვთ აქედან არაფრის გულისათვის არ მოიცვალონ ფეხი. ერთი-მეორეს საშუალო სკოლიდან მეგობრობენ.

ნანა — შევიდეთ კინოში.

ქანა — ყველა ნანახი გვაქვს.

ანა — მაშ რა ვქნათ?

ლანა — გავიარ-გამოვიაროთ. თვალს წყალი დავალევიანოთ.

ქუჩის მეორე ბოლო. ხალხის უწყვეტი ნაკადი. ყურადღებას იპყრობენ მეტნაკლებად გახდილი ქალები, თვალმიზნედილი წყვილები. აი რამდენიმე ვაჟიც გასულა მოედნის ბოლოს...

თამაზ — ახლა დავიშალოთ.

გივი — მოიცა, კაცო, რა დროს წასვლაა, გავიაროთ.

მობრუნდებიან. კადრი ცვლის კადრს, მოსეირნე-მოსეირნეს, ავტობუსი — ტროლეიბუსს. მილიციელი — მოქალაქეს...

აჰა, ბროლეულის მალაზიაც, ზღაპრული ფერების ციმციმი და კრთომა. ჩვენი ნაცნობები უპირისპირ დებთან ერთმანეთს და...

თემოს უღიმის ნანა,

მერაბს — ქანა,

გივის — ლანა,

თამაზს — ანა.

გაისმის მელოდიური მელოდია. ისევ ხალხთა ნაკადი. პარკები, სკვერები და ჩვენი წყვილები ერთ-ერთ მათგანში.

პარკის გაჩახახახებული პავილიონი. ნაყინი. უქაფო ლუდი, ქაფიანი მელოდი. მაგიდას შემოუსხდებიან. ქიქების ქახუნი. სიმღერა, სიამტკბილობა...

ხალხი ეშვება ფუნუკლორიდან, ლისის ტბიდან, გამოდიან თეატრებიდან, კინოებიდან...

პარკი. ჩვენი გმირები ხელკავით გამოდიან...

გავიდა ათი წელი. მათი ცხოვრება შემდეგნაირად წარიმართა:

თემო პროფესორია, ნანა — ფილოლოგი-დიასახლისი, მერაბი — ექიმი. ქანა — ბუღალტერი-დიასახლისი, თამაზი — გამწვანების ტრესტის მმართველი. ანა — აგრონომი-დიასახლისი. გივი — ბუღალტერი, ლანა — ექიმი.

ანას და გივის ოთხი თმახუჭუჭა ბიჭი ყავთ. დანარჩენებს არც ერთი.

ყველანი ერთ სართულზე ცხოვრობენ.

ბავშვებიანი ოჯახის გვერდით უბავშვო ოჯახებმა მეტნაკლებად იგრძნეს უბავშვობა და...

ნანა — ამხელა ბინაში უბავშვოდ როგორ გამომაყრუე, შე გამოყრუებულო?

თემო — ჩემთან რა გინდა?

ნანა — აბა, ვისთან მინდა? წიგნების ჭიად რომ იქეცი და საჯარო ბიბლიოთეკაში ჩასახლდი, მამაზეციერი შეგვძენს ბავშვს?

თემო — ქალო, შენ არ ვარგოდე, რა ჩემი ბრალია?

ნანა — მე არ ვვარგვიარ? კარგი, ქალი არ ვიყო, თუ არ გიჩვენო, ვინ არ ვარგა...

ქუჩაში მარტოდ მარტო დასეირნობს, მამაკაცებს გამომწვევად უმზერს. (ეს როლი ყველაზე ლამაზმა ქალმა უნდა შეასრულოს).

მერაბი — გააწყალეს გული მაგ გივის ბავშვებმა.

ქანა — რას ამბობ, შე კაცო, ისინი რომ არ იყვნენ, ორ ღღესაც არ დავიციდიდი აქ. აბა შენა ხარ კაცი, ერთი ბავშვი რომ არ გამაჩენინე?

მერაბი — რამ ატეხა, ქალო? რა კირად მინდა ბავშვი? ურწიე ახლა ცინგლიანს აკვანი; — უა! უა! სასამართლოში ლაქ-ლაქით ისედაც მისკდება თავი და ახლა სახლშიც არ დამასვენო...

ქანა — სხვისი ბავშვი მაინც ვიშვილოთ, ქრისტიანო?

მერაბი — ეგლა მაკლია ახლა, ვილაც სხვისი ბავშვი გავზარდო და ჩემი მონაგარი მას დავუტოვო.

ქანა ამ დიალოგის შემდეგ ქლექით დაავადდება და მაყურებლების თვალწინ საშინელი კრუნჩხვით კვდება...

დამთავრდა პირველი სერია.

მეორე სერიის დაწერას დამდგმელ-რეჟისორს ვანდობთ. ეს დიდებული ტრადიცია ძლივს დამკვიდრდა ჩვენთან და რაღა ჩვენ დავარღვიოთ?

ოღონდ, როგორც სცენარის თანაავტორები, პატ. რეჟისორს მივცემთ ზოგიერთ მითითებას თუ როგორ წარმართოს მეორე სერია.

მოქმედება უთუოდ გადაიტანოს სადმე ზღვის პირას. თუ ქალები არ გააშვილენ, გრძნობები არ მოზღვავდება და მაყურებელთა მოზღვავენას ადგილი არ ექნება.

თუ მოქმედებამ თბილისში გადმოინაცვლოს, მაშინ აუცილებლად იქნას გამოყენებული თბილისის ზღვის ან ლისის ტბის შემოგარენი, ხოლო ქალთა სამოსად ქუჩაში აუცილებელია ნეილონის ზედატანის, შეიძლება ქვედატანის გამოყენებაც. კოცნა, რაც შეიძლება, გაახშიროს, უსათუოდ ტუჩებში და უსათუოდ ხანგრძლივი, ე. წ. ამერიკული.

კაცებს საერთოდ უყვართ მრავალფეროვნება და, ეს შეიძლება მაყურებელსაც მოეწონოს, რეჟისორს სრული უფლება აქვს ფინალში მოახდინოს ცოლების გაცვლა-გამოცვლა, რაც ფილმის დამთავრების დროს გამოიწვევს აზრთა გაცვლა გამოცვლას და შეიძლება ჩხუბსაც, რაც ფილმის წარმატების საწინდარია.

აუცილებელი არაა რეჟისორმა ცოლების გაცვლა-გამოცვლა უთუოდ კანონიერი სასამართლო განქორწინებისა და შემდეგ მშაჩის ბიუროში ქორწინების გზით მოახდინოს, ზოგიერთ რამეს მაყურებელიც უნდა მიხვდეს. მთავარია წყვილები თოქზე გაფენილი სარეცხის ქვეშ გაატარო, რაც მათ აუცილებელ ბედნიერებას მოუტანს.

ვარამაზვილი

ნახ. თ. მირზაშვილისა



— ვერაფერი გამიგია, რაიკომის მდივანმა კრებაზე მკითხა ღობეები რატომ არ გაქვთო, სიტყვით გამოვედი და რა ღობე-ყორეს ედებო. — გნახა დაბალი ღობე?



ახალწლის წინაღამე.
გოგია უფხვლის სახლი
სამხედროს. ტანს და ცაცის
კანონის გამოხატვის შემდეგ
წამის ხის დღეში ატარა
დღეში. გოგია მუშაობის
წინაშე გამოხატა და
ბურთის თავზე შეუდგა.
— გოგია! — მოგეს
უდბს გარეთ გამოვიდა,
ეროში საიკო შევიდო-
და. გოგია მისწავლია წერ-
იხის ახალი. უნოში ჩამო-
სულდას უდბს გამოხატის
თოდების და დასტეს. სტვის
ხეობაზე ჯდება ზაოქ-
ხეობა, ძალდების უდბს და

ხავწყების წიკოება. გოგია უდბს
თიანში შევიდა. დღე კედლის ხაზს შეხდა. მივარა კრ-
დელზე ჩამოვდებოდა ირთულაან ზაურის. გარეთ გამოვიარ-
და არაფერ ჯიქვალე ვაისროლა.
— ვაჟმაყის კანდასა!
— მრავალ დაწესართა!
კოთილ იფის ჩვენი უფის შენს თაჯანში— ვაისმა
ეროში.
— მოხარდათო, თქვენი ჭიროში— ვაისმა გოგია და
ბტურების თაჯანში შეხიობატება.

სუფრის მიხარულია ღორის თავი, ვოხაოვი, ვაჯეუბუა,
საკოვი, შერწარი გუბები, ქაობები, იმდურები და მხარეები,
დაფინ ამწებუდა. მის გარეშე ცოცხა უმუშეო, კაცია
მწეპეა, სიონა ქალაქი, სპარაღენ მცირაშელო. დასხენ
და სავები უსტდენ.
თამადად კაცია მუშეაქ დასახლები.
— აჰ, მე დღე დამაჯილი, თქვენი ჭიროში ამაღა მის-
კიფისაქ მისკვალმა სამჯაჯარი მატარებელმა უნდა ვაი-
არის და, სიი იყოი, სადგურში უნდა ვიყო.
— რა ზიდა, მე კაცო, ერთი დღე უმწეოდ ვაძლებენ
როგორც ვაგრა მტკუნოვანი და დაურეკა სადგურში—
კაცია მუშეაქ ბურთილი აიღა და დაიკა.
— ალი, სადგურია?
— მე ვარ, სადგურის უფრობი კაცია მუშეაქი, სადგურ-

ნა. დ. ერისთავისა



აკრძივი
— რატომ არის, რომ ძველად მწერლები და მეცნი-
ერები სულ წერილებს წერდნენ ერთმანეთს, ახლა კი...
— იმიტომ, რომ ძველად ძველა თბილისში კი არ
ცხოვრობდა, როგორც დღეს.

1859 1959

ნიმუშვილის

რის მორატის ვადეციო, ცოტა დამაჯივინა და ახა
თქვენ იგიო, როგორ ვაატარებთ მატარებელს... ვასკა ვან-
კარულებმა კაცია და სუფრის მიუგედა; მერე უნაწი ვაა-
სა და სადღერძელო წარმოათვა:
— ვაბაგროსი,— თქვენს ყველამ და დაჯიკა.
— რა ამხავია კალაქში, სპარაღენ ჩვენი?— კოთხა ვო-
გია უმუშეოდა სპარაღენ მცირაშელოს.
— მუშაობა, ჩვენი ვოცია, უნოში ჩამოვდეთი მე და
დასხენი, მე ვაბაგრობის სამონატროში ვიყავი ვაბაგრობუ-
და და დასხენი თან მუშადა. დღობადღე მუშედა
თბილისი, ვერი იფისი, ისეთი ახალი სასტუმრო ააშენე
„სპარაღენი“, აქ ვაგრდეთიო მე და დასხენა.
— მერე?



— მერე პატარა უსიამოვნება შევეფიხება, უსაქიო ბი-
კები რომ იყო, „სტალინივანი“ რომ ეძიოან, დასტუ-
რადან, შენ ხარ ჩვენი პატრონი და მიღონ დასტუ-
რადან, დღობადღენ. ერთი ხელი დასხენე დღობას, მიწო-
ნებია...
— ანდოლიკოვი კალი ვუცხა და მოწინააღმდეგეა, ახა რა
იქნებოდა— თუკი კაცია მუშეაქი.
— მორწინება, შენ ხარ ჩვენი პატრონი, და დაჯიკა
კარგებს ზახაწენ, ვაბაგრობად გარეთ, დადაწარაქ, მუშე-
ბენ იწყება ჩვენი.



— ვერ მოკლი, მერე უნაწი ვაა-
— ამხაბოში მიიღოი?— თუკი დადაჯიკარს, 15 დღე
მისტავზე მერე დღეს წარმოაწინა ხელგაბიხასაგის.
— ვინ უფიდა?
— ვიდაცა ბარბელ მელადაცა, ინსტრუტორდენ სამჯერ
ვაბორიკულდი.
— უფრო შენ?— თუკა გოგიათ ცოლმა და ხავშეპი წა-
შეგარა სტერიდიან: ახლა დაწიქიო, თქვენი ძილის დრო
არისო.
— კელი ექნებოდა, ზაჰაა,— აბუბის ბარბელ ხავშეპიდა,
მეგანს ვიგანს თუფლები დუბრბილა და ხავშეპი მის
ამოხლებელდა ვაბარბენ.
— დასხენა ვეცაფიდა, ქრისტიანობის რომ არ მო-
ვიტარეს თილა კალაქში, რაც სახლდენ ვაბაბა, მისი
მარბერი ვაგრაჰა— კოთხა კიფის ცოლმა.
— როგორ არა, როგორღებო ვნაბე, იქ დღობარბო-
დავრე დღეშია მუშაობა მარბელთი ვაგრა ჰაეს
ფიქროსაქ ამწეებულთია. აქაურ მერწინადა გარდაცა ცე-
დად ისეთი უფხა აქვი თილა დაგრაბა ზად, რაოცა უ-
ნაწი შეუფიქროთ. მის ნახვას არაფერი უბოია.
— როგორ ვაბაგრა, ჩვენი უფხენი, ხავშეპი აიქ-
ბოდა, მერე მისიანს ვაულოდა, ამ უბარბელებს. მისი-
წელი სამახებრიდან, მართალია?
— კი, სამხებრიდანა მიყუფიდა.
— აქ რა ამხებია, სოფელში?— თიობა ახლა სპარა-
ღენია.
— სოფელში კარგი ამხავია, მუშაობა,— თუკა გოგიაა,
— ამასწინაო ვაგრაობის არჩეფენი ვეკონდა, დავით ღრობიძის

გზურიკა

ტყევი ვაბორი სიონა ძალდებენ, სულ გუბუნსა რაც ჯელო
კიდებო ქვირე.
— მერე მერე?
— მერე, მუშეებოდა და სიონა ავირბიო თავეჯილი-
ჩიდა. ანა ვეცაფი თუ?
სიონამ მოჩხვალ დახარა თავი და თუკა:
— ძალა ერთობაშია, ჩვენი სპარაღენ, ხალხს რა დაუ-
ცხადა წინ. ახს წარბა ეცხადე წინაშელო მისიონებებს
ვაბოხლოხები და ვადა მოკვდებოდა, დაგრაგებელი და



დავლახებოდა რომ ვიციფიო. ახლა ხალხი ბიციფიო აიგის,
ამ დასოხელო ვერაბიო, თუ რაბიო, ვედაფერი გუბისაა,
მიუც ჩვენი და მისი ხავიფილი. ჩვენი კოლმურენობის ცალ-
არა ზედა ამ მხარეში, მდებარეობია.
— იგანე და ნიკო ხავა არიან, ამ უბნელი შეშეებების
მუშედა, პალიატობის ტახტე ტევი რომ ვადაურბუნდი,
თავი როგორ ვაბოხი?
— ახლა კარგად არიან, იგანს რა უფხის, ჩვენი სპარა-
ღენი, მუშა მოწინაო— მაგან უნდა თუკა, ინსტრუტორ
ამაჯიკარს ხუბუნებ, საბუჯო ვაბუბებოდა, იგანს წარბა-
დადებურ მისწელო უფთო გუბისერი უფხა და დასოხი



კოპტოგის ძივაპოი ნაპოვნი ვაგრაობა

სამსახურიდან მოხმის და
გულზე ხანძარი მიღება,
ესაწინაწინა ხავადა
ერთი ერთი ხელსაგრე მომენტად
და თავი „ვაბაგრა“
ერთ-ერთი მიწეპე პოეტად
ხუთიოდა ლექსი დაწერა
და თავი ღელე მისიანს ახალბის,
კვირია, რომ ამ ვანაგებს
ვეყრის მწერლობის ვასაგებს,
მისი მწერალელო ვასაგებს,
მთელი სამყარო ციკაგებს,
პეგერი სიტყვები ვაბაგრა.
ცასკე შეუბო, მდებარეობა,
თუ სადმე წავლა შენა—
წელაგა, შენა...
და ვაგრაგან ვაგრაგებს
„კომპოზიტორს“, „სტალინი“, „ლექსი...“
თუკა ამხავიდა დასტუდენ,
მიმეცენ ვასაბარბოლსა.
არც ერთ ვაგრას არ ტრეფია,
ლექსის თუკა-აული შეკა...
და აი, ერთ ღელეს ბინაზე
ფოსტალინი ვაგრა...
წერილი ჩუბაქილია...
რა, რაჩი რაჩი დამაჯიდა...
კანტორკა ვანაბა... თავილები
კიდებდენ, როგორც საცდრო...
რა, რას სწერენ? — „ბიჭებს,
სუტკა თქვენი წაწერი,
არ შეგვიძლია დაგეგნო
გაბორო ლექსი ამგერი...“
ვედო სიმწერა მოაგრა,
ლერიოდენ სანის წაკვირბი.
— ვანბო, მე კაცო ვუფოლდარ,
თუ ვერც, ტყვენი წაკვდები.“
შეზღუბე მომრტყა თითი და
თუკა: აჰლის ტვირნი, სად დეგვიზი?
მე წუთი ჩუბაქიკათი
უცხად ვანგანს ნატრობა...
კაცმა როგორ არ იღვიოს,
როგორ არ ღირდეს ვაგრაობად.
ორმოდებოდა წილის რომ
ვანგან „დასწავის“ ვაგრაგებს.

ნიმუშვილის

დადენი ზაჰა-შელო. აქედან რომ
ჩაგდებია. 15 წუთში დიპო-
არია.
კაცია მუშეაქი მორტყა სა-
დღერძელო მსწერა...
— მეუბს, დღობადღეობა,
ვაბაგრაგის ჩვენი ბედებერი ცხო-
ვრებისა.
ვაბოხენამდე იმდებო, ვოცია
თიანში ღობეს დაბრბობდა—
მორტი და ვაბაგრობი კრამაგრო-
ლო, დღობი ბარბ გოგიათ რაბა-
რობობიანი იფიდას ზეხიბელა-
დახველოდა, ზაბაბიანი ვაბოხდენენ
სტუდენტები. ბელში ვოციათაწინა-
სწულა მუშეებოდა ვაგრა, ვოცია
თიანში ღობეს დაბრბობდა—
მორტი, ქაობები დაკრამაბდენ და მისელოში ბოროლა ზღობა.
— ნახვადი, ჩვენი გოგია,
— ვაკოცი, თუ მან ხარ!
— ე მოსი, თითი დაჯიკეთა და მერე წასტავიფიო.
— დასხენი ენაყვადე, არ დაჯიკეთილო.
სიონამ, მიკვდე ხელი კაციათ, არ წაქვიტეს, ტყველა
ხარ ძალდებო!
— მოგეცეხი ჩემ თავი!
— პიტე, უფთო რაჯა ვაგრაგები, რა ირობადა მინდა
ახა ეს ავადება!— იფიგარა უდბს გოგიათ. მივინდა ვარგის,
კაციფი ვაგრაო, დაქოქს და ეროში წრე დაარტყენია,
მერე ჩავა მის სტუდენტებს, რაბის ზოგაწინა ვადა— თუ
საგრაგის ჩვენი დაბრბობდა, — ვანაბა ცოლხ და თუნი რა-
გრა იბარბიო ვაგრა.
სასაქარაბის მიზიანს მატრეფინგრა და თანდებოდა. ნი-
ნიშვილის გოგია ბედებერი ახალწელს გეგნობდა.



ნა. დ. ერისთავისა

ჯერ ვერ მოუტლია

ყოფილი მმართველის თოხანს უტყავო კარები ჰქონდა. თოხანნი ერთი
უბრალო მაგილა, ერთი ტელეფონი და ათიოდდ მარტოსის სკამი ილდა— ის
იყო ის. წყვილად ტრუსტის საბურჯი კარგად, დაწინაურების მმართველი.
მოვიდა ახალი მმართველი.
დაიწვირა ტრუსტის ბინა, ირბინა და იხილაფორბა, იხიბოდა და მოითხოვა
და მიიღო ახალი ბინა. კარისათვის შევი ტყავი ვადაჯიკრეგინა.
რუგარბისა მარტოსის სკამები, აუთო რუგა, იმით რუგა, ყველა შეიწუხა.
და დიდაც რუბინოლი სკამები.
ერთი ტელეფონი რას მიეყოფა.
— რას გეყოფათ!— დიპოტეს კვირი თანამშრომლები. თეთიონაც ირბინა
და, სხეულები არბინინა და დიდაც სანი ტელეფონი— ბინადანი, ჩვეულებრივად
და თანამშრომლობის ნომერბით ვაბოხასაბურჯი.
გვირბინაბა მდებარე ქალი. ახედ-დახედო. არ მოუწონა ტრუსტის მმართველი
სკამები მდებარე მდებარე. ვაბაგრაგულა მდებარე ქალი, დააცინა
მდებარეობის კანდელატო რუგა, არბინა, ამბობოდა ულამაზებო მდებარე დასივარ-
არ მოუწონა რუბინოლი სკამებიც, ახლა მოლოწინობა იღვიბო, მიზანს
მაიწუხა.
— არ მოუყვია მაგილა თვალში, იღვიდარბაბა, იღვიდარბაბა— დაიღგ-
არბისა.
დადაღმეგინა მაგილა ერთ კუთხეში, მიიჯდა ირბინა, არ მოუწონა ის
კუთხე, ვადაბანინა მაგილა მერე კუთხეში, დადაღმეგინა ირბინა, არ მოუ-
წონა ირბინა, დადაღმეგინა სწორად, არ მოუწონა სწორად.
დადაღმეგინა თოხანის უფაგრობა, თოხანის სირომეში... და დაიქეს მავი-
და, იღვიოს სკამებს, მდებარე ქალს, თანამშრომლებს, რუგას, ურუკევენ, იბრბი
ერთ ამხავში, ყველამდე საქმეებში.
... ტრუსტის საქმეებისათვის კი ჯერ ვერ მოუტლია.

ნიმუშვილი

დუშობის რაიონი

— სახლში რატომ არ მოგყავს შენი უფროსები,
ცულად ცესხოვრობო თუ?
— კარგად რომ ცესხოვრობო, იმიტომ.

შეიკვამლე და სიყვარული



როგორ ჩამოვიდა აყვია და რა მოხდა შემდეგ

ეს იყო ჩვენი გამგზავრების წინა დღეს. დილით მე, ნიკომ, ლონდამ და თენგიზმა ჩვეულებრივად დაველიეთ ჩაი და წაველით პლაჟზე. მერე ტანზე გავიხადეთ. ლონდამ შორს გასცურა. ჩვენ წყალში არ ჩავსულვართ, ქვეშე ვიწეკით. მოულოდნელად ვიღაცამ მზე დაგვიჩრდილა ჩვენ მაღლა ავიხედეთ და აყვია დავინახეთ.

— გამარჯობათ,— თქვა მან. ჩვენ სმა არ გავიცვია.

— მე თბილისიდან ამ დილით ჩამოვედი. ხვალ სოჭაში მივდივარ,— თქვა აყვიამ.

— ძალიან კარგს იზამ,— უთხრა თენგიზმა,— უკეთესი იყო, პირდაპირ სოჭაში წასულიყავი.

— მე ლონდა თუხარელის ნახვა მინდოდა.

— შენ იცნობ ლონდას?

— ჩემი მეზობელია. თბილისში სულ ერთად დავდივართ.

— კარგი მეზობელი გყოლია!

— მერე შენ რა!

— რას მიბღვერ, შენს უბანში ხომ არ გგონია თავი თენგიზი და ნიკო წამოდგნენ. აყვიამ უკან დაიწია.

— აქ ჩხუბის ადგილი არ არის,— გვითხრა ნიკომ. მერე აყვიას უჩვენა ზღვაში, თუ სად იყო ლონდა.

აყვიამ ტანზე გაიხადა და კუნთები გამოაჩინა. შემდეგ წყალში შევიდა და ლონდასკენ გაცურა.

— ახლა ხომ იყო საცემი?

— აქ არ ღირს, თბილისში რომ ჩავალთ, მაშინ.

სალამოს ლონდა და აყვია კონცერტზე წავიდნენ. მე ჩაი დაველიე და ლოგინში ჩავწეკი, მაგრამ არ დამეძინა. შემდეგ ტანზე ჩავიცვი, ეზოში გამოვედი და ცივი წყლით თავი გავიგრილე.

ამის შემდეგ დიდხანს ვიჯექი სკამზე, მინდოდა მეფიქრა, მაგრამ ვერაფერს ვფიქრობდი. ვერც კი გავიგე, როგორ დაბრუნდნენ აყვია და თუხარელის ქალიშვილი.

— ოო, სიმონ, შენ აქა ხარ?— მკითხა ლონდამ.

— ჰო, აქა ვარ.

— რა გადასარევი კონცერტი იყო, ვინ წარმოიდგენდა ამ პროფინციაში. დიდხანს ილაპარაკეს. მერე აყვია წასასვლელად მოემზადა.

— ძალი იქნება აშვებული. მარტო ნუ წახვალ.— უთხრა ლონდამ.— სიმონი გავაცილებს. სიმონი ყველა ძალს იცნობს. წაყვები, არა, სიმონჩიკ? მე მინდოდა მეთქვა «არა», მაგრამ ვერაფერი ვთქვი.

სანატორიუმს გავცილდით და გზაზე გავედით.

შორიდან მოისმა ყეფა, რომელიც თანდათან გაძლიერდა. ეს ტარზანი მობოდა. გამოჩნდება თუ არა, უნდა უთხრა: «ტარზან, ეს ჩვენი კაცია» და ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის. მაგრამ რა იქნება, რომ არაფერი ვუთხრა? გაისმა ლაწუნი. ტარზანი ლობიდან გადმობტა. სანამ ჩვენკენ წამოვიდოდა, ერთი კი გაჩერდა, ალბათ სიტყვებს ელოდა. მერე აიწია და...

ერთი წამის შემდეგ ბალახებში ვეგდე და ტარზანი ლელოს ბურთივით მაგორებდა. ჩემს ღრიალს სხვა ძაღლების ყეფა შეუერთდა.

— გვიშველეთ!— ყვიროდა აყვია და ტარზანს მუშტებს თავში უხათქუნებდა.

გარშემო სიბნელე იყო, მაგრამ ჩემთვის სულ დაბნელდა.

როცა თვალი გავახილეთ, ტარზანი აღარსად იყო, თავზე ხალხი დამდგომოდა.

— ნემსი გაუკეთოთ, თორემ გაცოფდება და სხვებს დაუწყებს კბენას.— წინადადება წამოაყენა ვიღაცამ.

აყვიამ ზურგზე მომიკიდა და სანატორიუმში მიმიტანა.

— მაგის ბედი, რომ ფეხზე უკბინა,— თქვა ექიმმა,— ქვევიდან ნელა ვრცელდება ცოფი.

ახლა არ არის საჭირო იმის დეტალურად აღწერა, თუ როგორ გათენდა ის ღამე, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩავთვლემდი თუ არა, თენგიზი და ნიკო მაღვიძებდნენ.

— რა გაყმუვლებს, ბოჭო, ხომ არ გაცოფდი? დილით ლონდა და აყვია მოვიდნენ.

— როგორ ხარ, სიმონ? — მკითხა ლონდამ.

— რა მიჭირს.

— შენ დიდი უცნაური კაცი ხარ! ნიკომ სკამი შესთავაზა.

— არა, ამ წუთში უნდა წავიდე, ჩვენ მხოლოდ გამოსამშვიდობებლად მოვედით.

— კი მაგრამ სად მიდიხარ?

— გაგრაში ვიქნებით ცოტა ხანს და მერე თბილისში ჩამოვალთ.

— როგორ თუ მიდიხარ?— გაოცებული ვკითხე მე.

— გემით მივდივარ. ზღვაზე მგზავრობა იქნება ძალიან ორიგინალური.

— მერე, მამაშენს რა ვუთხრა?

— მოკითხვა გადაეცი.

— მაშ. მშვიდობით მგზავრობა.

— ნახვამდის, სიმონჩიკ, ნემსების გაკეთება არ დაგავიწყდეს!

მკითხვების მაგიდა

მატარებელი თბილისისკენ მიჰქრის. კუბეში საშინ ვსხედვართ — მე, თენგიზი და ნიკო.

— მაშ ასე,— თქვა ნიკომ,— დამთავრდა ჩვენი დასვენება.

— ახლა რა უნდა ვქნათ?— იკითხა თენგიზმა.

— ახლა თბილისში უნდა ჩავიდეთ.

— მე თბილისში რომ ჩავალ, კრივის სექციაში დავიწყებ მეტადინეობას.— განვცხადე მე.

— შენ ჯერ ნემსებს გაკეთებ, რომ არ გაცოფდე.

— ჰო, ჯერ ნემსებს გაკეთებ და მერე კრივზე ვივლი. შემდეგ დავუძახებ აყვიას და ერთი ერთზე მივტყუებ.

— სიმონ, ცუდად ხომ არა ხარ?

— ჰო, სიტყე მაქვს!

— დაიძინე და თბილისში რომ ჩამოხვალ, კარგად იქნები. სანამ დავიძინებდი ვკითხე:

— გაისად მთაში წავიდე თუ არა?

— აუცილებლად!— დამიდასტურა ნიკომ.

— აუცილებლად!— თქვა თენგიზმა.

მატარებელი შეუჩერებლად მიჰქრის. ზღვა კარგა ხანია მიეფარა თვალს. ფანჯრებში ღამე შემოვიდა ხვალ დილით თბილისში ვიქნებით.

დასასრული

ა. სამსონია

§) დასაწყისი იხ. 1958 წ. № 23, 24. 1959 წ. № 1, 2, 3, 4.

ნახ. გ. ლოლუასი



130
14/11
59

რეჟისორი:— თქვენ გაძლევთ მამაკაცის როლს, რომელიც ცოლმა იმდენად დაიმონა, თეფშებსაც კი არეცხინებს.

— ძალიან გთხოვთ, სცენაზე მაინც დამასვენეთ!

მკობ უბოლცი

ჩემს ზემოთ მცხოვრები მანდილოსანი

შუალამისას—როცა მე უკვე ტკბილად მეძინა—ზუსტად ღამის 3 საათზე. ჩემი ოთახის კარებთან გაისმა ზარის ხმა, ბარბაცით მივედი კარებთან —ალო ვინ არის?

— მე ვარ!

— ვინ შენ?—ვიკითხე და ოდნავ გავაღე კარები. აღმოსავლური ტიპის საშინაო ხალათში გახვეული 50 წლის მანდილოსანი აღვლევებით დადიოდა წინ და უკან.

... თავხელობა!

— ეს მე მეხება. მოწყალეო ქალბატონო?—ვიკითხე მე

— აბა, სხვას ვის? მე გუშინდელი დღიდან თქვენს ზემოთ ვცხოვრობ.

— და ეს თქვენი უპირატესობაა?

— მე არ დამაძინა თქვენი ძაღლის გაბმულმა ყუფამ.

— ჩემმა ძაღლმა?

— ეს ალბათ ხვადი ძაღლია. ამის გამოცნობა შეიძლება ხშირ. იგი განუწყვეტლივ ყუფს. თვალის დახუჭვაც კი ვერ მომიხერხებია. თუ შეიძლება, მოუღეთ ბოლო ამ ამბავს!

მე დიდი პატიება ვიძახე: «მომიტევით. მოწყალეო ქალბატონო, მე ახლავე მივიღებ ზომებს, რათა ძაღლმა ყუფა შეწყვიტოს. მასპატიეთ, რომ ძილი დაგიფრთხებთ.»

მეორე საღამოს ფხიზლად ვიყავი. ძალიან მიჭირდა ღია თვლებით წოლა. წინაღობის 3 საათის შემდეგ აღარ დამიძინია, რადგანაც. საკმარისია ღამე გამომადვიდონ, რომ ძილს გამოვემშვიდობო. და წუხელის ხომ გამადვიძეს. ახლა კი განზრახ ფხიზლობდი და, რომ არ დამძინებოდა. დავიწყე კრიმინალური რომანის კითხვა.

ზუსტად სამ საათზე დავამთავრე წიგნი. ავდექი, გავეხვიე ხალათში, ჩაკვიცი ვეხზე, მოვიხვიე შალი და დავტოვე ჩემი ბინა. შემდეგ ავედი ჩემ ზემოთ მცხოვრებ მანდილოსანთან: დავრეკე ზარი. ცოტა ხნის შემდეგ გაისმა ხმა.

— ალო? ვინ არის!

— მე ვარ!

— ვინ შენ?

— მე ის კაცი ვარ, რომელიც თქვენს ქვემოთ ცხოვრობს.

კარი ოდნავ გაიღო. გამოჩნდა აღმოსავლური ხალათი, მასში ნაშინარევი ფიგურა, რომელიც თვლებს ძლივს აღებდა.

— რა გნებავთ ამ შუალამისას?

— შეცდომას აქვს ადგილი, მოწყალეო ქალბატონო, ვუპასუხე მორიდებით.

— როგორ? რა? ამ დროს? ღამის 3 საათზე?

— ეს მოხდა წუხელ, სწორედ ღამის 3 საათზე. მე მიწოდდა თქვენთვის მეთქვა, რომ გუშინ ღამით შევცდი. საქმე იმაშია, რომ მე სრულებითაც არა მყავს ხვადი ძაღლი. და საერთოდ სულ არა მყავს ძაღლი. მე მხოლოდ დამავიწყდა მეთქვა ეს თქვენთვის წუხელ...»

გერმანულიდან თარგმნა ლ. ცოტაძემ

მკობ უბოლცი

ს ა თ ნ ე ბ ა

მაქსი ზღვიდან ამოვიდა და გააგრილებელი წყლის დასალევად ფანატურისაკენ გასწია კარები სწრაფად შეაღო, რითაც მაგიდასთან მჯდომი ქალი შეაშინა. „მომიტევით, ქალბატონო!“ ქალს თვლები გაუფრთხოვდა და ნაზად ჩაიჩურჩულა: «კინალამ შემაშინეთ, ბატონო ჩემო».

— მე შეჭია მაქს მაიერი, თქვენ როგორ მოგმართო?

— ევა მარია.—წაიჩურჩულა ქალმა და კარისაკენ გაემართა. მაქსიც გაჰყვა.

— ევა მარია მშვენიერი სახელია. გნებავთ კვირას ნავით გავისეირნოთ? საკუთარი ნავი მაქვს, ცურავს კარგი ვიცი, რადგან მეზღვაური ვარ.

— რა დიდებული იქნება თქვენთან ერთად ზღვაზე...

— ჯერ ვნახოთ, ვაითუ ქარი იქნეს.—მიუგო მორცხვად ევა მარიამ.—მაგრამ ჩემი ტრამვაიც მოვიდა.

— მეც ამ გზით მოვდივარ.

გააცოლა და ბილეთიც აუღო. გაჩრებავს მაქსიც ჩამოჰყვა, თუმცა იქ არ ცხოვრობდა.

ბიჭმა იყოლა თავისი საქმე!

— ცოტა ხანს კიდევ სადმე ვისაუბროთ,—უთხრა და შეაჩერა.—თუნდაც ავერ, იმ პატარა ყავახანაში.

— გმადლობთ. ჩემთან წამობრძანდით, ჭიქა ყავაზე...

მაქსი სიხარულით გაჰყვა.

— საუცხოოდ ყოფილხართ მწყობრილი,—უთხრა მაქსმა და ოთახში მიმოიხედა. შემდეგ ევა მარიას ჩააშტერდა თვლებში.

— დაბრძანდით, გეთაყვა, ახლავე მოვალ!—ქალი გავიდა და ვიღაცას გასძახა:—მოდი, ლუდვიგ, სტუმარი გყავს.

— ჩემი მეუღლე.—თქვა მარიამ,—ეს ბატონი მაიერი გახლავთ.

— სასიამოვნოა.—თქვა ლუდვიგმა ომახიანად.—რას ვუმაღლოდეთ თქვენს მობრძანებას?

— ბატონ მაიერს სურს თავი დაიზღვიოს უბედური შემთხვევებისაგან.

— გონიერი გადაწყვეტილებაა, ჩემო ბატონო,—უთხრა ლუდვიგმა და კარადიდან დაზღვევის აქტები გამოიღო.—ალბათ ჩემი მეუღლე გეტყვოდათ, რომ მე დაზღვევის ინსპექტორი ვარ.

— გმადლობთ,—უთხრა მაქსმა უხალისოდ.—კაცმა რომ თქვას, სულაც არ მინდოდა... ესე იგი, მე...

თხოუმეტოდვე წუთში მაქსი უკვე დაზღვეულიც იყო და ყავანახანაშიც.

— ახლა შეგიძლიათ მშვიდად იძინოთ,—უთხრა ლუდვიგმა გამოშვებობისას და ხელი მაგრად ჩამოართვა. ევა მარიაც დიდხანს უქნევდა კიბიდან ხელს, შემდეგ შემოტრიალდა და ქმარს გაუღიმა: «ესეც მეშვიდე».

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა

მკობ უბოლცი

მოხუცი მეზღვაურის ამბავი

ქალაქ ფარ ჰევენში ვიყავი მე რამდენიმე წლის წინათ ჩემს ახსანავთან ერთად. ჩემმა მეგობარმა ერთი კაცი დანიხა და მითხრა:

— ერთი იმ შეგვრემან მოხუცს შეხედე. იფიქრებდი ოდესმე, რომ ეს სიცოცხლით სავე ადამიანია?

— რას ამბობ, —მიუგუე მე,—მაგას ვინ იფიქრებს. პირში სიგარაგარჭობილ ინდიელს უფრო ჰგავს, ხისგან რომ არის გამოჯორკილი.

ჩემი მეგობარი მივიდა მოხუცთან, მიესალმა და ერთი-ორი შეკითხვა მისცა. მან ერთბაშად თითქოს იფიქრა, სახე შეეცვალა და დარბაზი ღვთისგმობით აავსო. თქვენ არც კი წარმოგიდგენიათ ღმერთის ასეთი წყევლა და ლანძღვა.

ჩემს ღმერთს არ დავმტკბარვარ ღვთისგმობით ასე. მე თვითონ რომ მეღანძღა ღმერთი, ასე მაინც არ დავტკებოდი.

შემდეგ ჩემმა მეგობარმა მითხრა:

— ახლა გეტყვი რა გაახსენდა მოხუცს. ასე, სამოცი წლის წინათ. მამის ოცდასამი წლის ახალგაზრდა იქნებოდა, ვეშაპებზე ნადირობიდან დაბრუნდა. მაგრამ განცვიფრებული დარჩა, როცა ნახა, რომ მისი ქალაქი რაღაც ცოც იღუმალღობას მოეცვა. თურმე, მის იქ არყოფნაში, იქაურებმა «მამა მეტიუს ფხიზელთა საზოგადოების» გავლენის ქვეშ მოჰყვა და ყველა მამაკაცმა პირობა დადო, რომ სპირტიანს ხანძელს ახლოს არ გაიკარებდა.

შენ თვითონ წარმოიადგინე რა საშინელება იყო ეს ახალგაზრდისათვის, რომელიც გროგს აღმერთებდა. მეგობრებმა რომ ნახეს, «მამა მეტიუს საზოგადოებაში» არ შედისო, განდევნეს თავისი წრიდან და მთელი სამი კვირა მარტოღმარტო დაყალიბდა და თავისთვის წრუბავდა გროგს.

ბოლოს ყმაწვილკაცი მიხვდა, რომ იყო რაღაც გროგზე უფრო მთავარი მის ცხოვრებაში, ეს იყო მეგობრობა და ხალხთან ურთიერთობა. ხელი ჩაიქნია, გულგატეხილი მივიდა „მამა მეტიუს ფხიზელთა საზოგადოებაში“ და განაცხადა:—მეც ჩამწერეთ თქვენს საზოგადოებაში.

იქიდან ტირილით გამობრუნდა გემზე, რომელიც მზად იყო სამწლიანი მოგზაურობისათვის. ქალაქს ჯერ კიდევ კარგად არ მოშორებოდა, როდესაც ინანა, რაც ჩაიღინა. მარგამ მან მტკიცედ გადასწყვიტა, რომ ერთი ყლუბიც არ დაეღია. ისე რომ, მოგზაურობის სამი წელიწადისთვის ტანჯვისა და წამების წლებად იქცა. ის გრძნობდა თავის შეცდომას.

ასე იტანჯებოდა იგი მთელი სამი წელი. ბოლოს, როცა გემი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, გაღმობტა გემიდან, გაიქცა, იყიდა ერთი ღოჭი გროგი, შევარდა საზოგადოების კანტორაში და შესძახა:

— ახლავე ამომშალეთ თქვენი სიიდან! მეყო სამი წლის წყურვილი!

— ნეტავ რას იკლავდით თავს,—შეაწყვეტინა მდივანმა.—კენჭო მაშინვე გიყარეს და თქვენი კანდიდატურა ვერ გავიდა.

ინგლისურიდან თარგმნა ლ. ბათიაშვილმა

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ქელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянгги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 5. ხელმოწ. დასაბ. 25/II-1959 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შეკვ. № 210 მუ. 00841. ტირ. 40.000.

აქამო გარჯა

ნ. ბ. ნიკარაძის

საქართველო
ბიზნეს-საქონელი

ბიკენტი მივლინებიდან დაბრუნდა. აი, სასადილოც. გუ-
შინწინ აქ ისადილა, უფრო სწორად, ფული გადაიხადა, კუ-
ჭი მოატყუა. მისი კუჭი ისე გულუბრყვილო არ იყო, რომ
მეორე დღესაც არ გაეხსენებინა თავი. ამიტომ ისევ სასადი-
ლოში აღმოჩნდა.

მაგრამ ეს რაა? სადაა ის დათხუზული, გეოგრაფიის ატ-
ლასივით აპრელებული სუფრები? ან ეს ლამაზი ყვავილები
საიდან გაჩნდა?

სუფთად წვერგაპარსული, ქათქათა წინსაფრიალი ოფიცია-
ლური მორჩილად შეეგება და მენიუ დაუდო წინ.

უღუფა ზომამზე მეტი იყო. თითქოს აუნახლაურეს, რაც
ადრე დააკლეს.

ერთბაშად მიხვდა ამ უეცარი ცვლილების მიზეზს. ქალა-
დებით გატენილი ჩანთის. წყალობით ალბათ რევიზორად მი-
იჩნის. ხურდასაც უკლებლივ უბრუნებენ.

უცებ გამგე შემოვიდა, სკამი ფეხით მიანარცხა და სმენად
ქცულ ხელქვეითს უბრძანა:

— მიუტანე ეს ყვავილები ანიკოს! ტყუილად დაგვაფეთეს
აქეთ აღარ გამოივლის! — მერე, პირდაღებულ ბიკენტი რომ
შენიშნა, შეუტია: — რას შემომამუტერდი, ძმაო, ჭამე? გაიარე!

რაშია საქმე?

- ტაქსი! ტაქსი! თავისუფალია?
- დაბრძანდით.
- ავაშენა ღმერთმა!.. ნაძალადეგში წამიყვანე, ლოტკინი-
საკენ!
- გადმო, თუ ძმა ხარ, გარაჟში მივდივარ!



- გუგულივით ბიკია ჩვენი ფერმის გამგე.
- რა ვიცი, კვერცხს კი მუდამ თავის ბუდეში
დებს და...

ასეც ხდება

სკოლა. სამასწავლებლო.

პირველი სურათი.

— ჩვენი ახალი მასწავლებელი ყოჩალი ჩანს. სულ ბავ-
შეებთან არის.

— ყველას მშობელს ესაუბრება, ენერგიული ახალგაზრდაა!

— ასეც უნდა, კლასიც მშვენიერი ჰყავს, სამაგალითო!

მეორე სურათი.

— რაო, რევიზიამ მართლა საყვედური გამოუცხადა ახალ
მასწავლებელს?

— მაშ! წარმოგიდგენია? კლასთან არ მუშაობო!

— საიდან ვიციტო?

— ქალაქლები და ოქმები არ გაქვს გაფორმებულიო!

მესამე სურათი.


— ეს ჩვენი ახალი მასწავლებელი რას წერს ამდენს, ბავ-
შეებთან აღარ გამოდის, რამ შეცვალა ასე?

— მაშ! კლასიც წახდა აღარ შეისვლება.

სურათი მეოთხე.

— გაიგე? რევიზიამ ჩვენს ახალ მასწავლებელს მადლობა
გამოუცხადა, ბავშვებთან კარგად მუშაობო, წარმოგიდგენია?!
— საიდან ვიციტო?
— ქალაქლებში ერთი შეცდომა ვერ უპოვიათ!

რ. მამულაშვილი



უტაქსტო ხუმრობები
დ. მარტაშვილისა.